სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 25 ივნისის N4 სხდომის ოქმით დამტკიცებული ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის ,,დ" პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 25 მაისის ოქმი #8 გადაწყვეტილების საფუძველზე,

შევიდეს შემდეგი ცვლილებები სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 25 ივნისის N4 სხდომის ოქმით დამტკიცებული ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულებაში:

1. **დებულების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„7. ფაკულტეტზე დადგენილი წესის შესაბამისად იქმნება კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისია."

2. **დებულების მე-6 მუხლის „ე" პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ე) უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულთან ერთად შეიმუშავებს სადისერტაციო საბჭოს დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს."

3. **დებულების VI თავი ამოღებულ იქნეს.**

4. **დებულების მე-19 მუხლი ამოღებულ იქნეს.**

5. **დებულების მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ე) დოქტორანტთა სამეცნიერო მუშაობის კოორდინირება და სემინარების ორგანიზება;"

6. **დებულების 28-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები განსაზღვრულია თსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული "დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ" დადგენილებით, ასევე ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით, სადოქტორო პროგრამებითა და წინამდებარე დებულებით განსაზღვრული წესით."

7. **დებულების 28-ე მუხლის მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

"10. დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, წარმოადგენს ქართული ენის B2 დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან ჩააბარებს გამოცდას ქართულ ენაში. ქართულ ენაში გამოცდისაგან თავისუფლდება დოქტორანტობის კანდიდატი, თუკი სადოქტორო პროგრამის ცალკეული კომპონენტი/კომპონენტები ხორციელდება ერთ-ერთ იმ ენაზე, რომელიც წარმოადგენს სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას, ასეთ შემთხვევაში, დოქტორანტს ეკისრება ვალდებულება, დისერტაციის დაცვამდე სულ მცირე ორი სემესტრით ადრე დაადასტუროს ქართული ენის ცოდნა ქართული ენის B2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატით ან გამოცდით."

8. **დებულების 28-ე მუხლის მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„13. დოქტორანტობის კანდიდატი გადის გასაუბრებას უცხო ენის გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭოს მიერ განსაზღვრული დარგობრივი კომისიის წინაშე, რომლის შემადგენლობა მტკიცდება ფაკულტეტის დეკანის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით."

9. **დებულების 28-ე მუხლის მე-14 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

"14. გასაუბრება შეფასდება სამი კრიტერიუმით: განათლება (კვალიფიკაციასთან შესაბამისობა), მოტივაცია, კვლევითი პროექტის პრეზენტაცია. თითოეული კომპონენტი ფასდება 1-10 ქულამდე, ხოლო საბოლოო შეფასება მოხდება სამივე კომპონენტის საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით. 6 და ნაკლები ქულის დაგროვების შემთხვევაში დოქტორანტობის კანდიდატი ეთიშება კონკურსს."

10. **დებულების 28-ე მუხლის მე-15 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„15. კონკურსის შედეგების საფუძველზე დოქტორანტობის კანდიდატის ჩარიცხვა ფორმდება თსუ-სა და დოქტორანტობის კანდიდატს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. იმ პირების თაობაზე, რომლებთანაც გაფორმდა ხელშეკრულებები ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე თსუ-ს მიერ გამოიცემა რექტორის ერთიანი აქტი ჩარიცხული პირების შესახებ.